შაგათი, 1917წ. ქრისტეშოგისთვის 2 (15) № 266

ფასი ერთი მეასედი

შაგათი, 1917 წ ქრისტეშოგისთვის 2 (15) № 266

ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს **ავტორის** ვინაობა და მისამართი. **უპირობოთ** გამოგზავნილი მასალა **უფასოთ** ითვლება. **დაუბეჭდავი** საგაზეთო მასალა არ ინახება და **რედაქცია** არავითარ **ბიწერ-მოწერას** მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია **დიაა** დილის 9—3 საათამდის, გარდა **უქმე** დღისა. **სარედაქციო** საქმეების **გამო** პირადათ **მოლაპარაკება** შეიძლება **ამავ** დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის **ადრესი:** Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კონტორა

გაზეთის ფასი პირველ გიორგობისთვიდან წლის დამლევამდე 6 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. **განცხადების ფასი** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. **უკანასკნელზე**—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ **განცხადებათა** ფასი ორჯერ მეტია. **ხამგლოვიარო** **განცხადება** თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. **მისამართის** **გამოცვლა** ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი **ფული** **და** **წერილები**, რომელიც **კონტორას** შეეხება **უნდა** **გამოგზავნოს** **კონტორის** **სახელზე**. **საჩქარო** **განცხადებანი** **უნდა** **მოტანილ** **იქმნას** **არა** **უგვიანეს** $1^1/_2$ **საათისა** **კონტორაში**. **კონტორა** **დიაა** **დილის** 9 **საათიდან** 3 **საათამდე** **და** **საღამოს** 6—7 **ს-მდე.**

ტელეფონი **რედაქციისა** **და** **კონტორისა** 15--73

დღეს:

ინოგეგი:

დაჟინებით ამბობენ: შესაძლოა **დროებით** ზავი **ჩაიშალოსო.**—ბანაკიდან **უცხოელთა** **მისიები** **წასულან.**—ჰინდენბურგს **განუცხადებია:** რუსეთთან **დროებითი** ზავის **ჩამოგდება** **შეგვიძლიან**, **მხოლოდ** **დროებითი** ზავი **ყველა** **ფრონტზე** **კი** **სხვა** **საკითხიაო.**—**პარიზის** **თათბირმა** **გადასწყვიტა**, 20 **მილიარდ** **ლირით** **დაეხმაროს** **იტალეთს.**—**მოკავშირეთა** **წარმომადგენელნი** **აცხადებენ**—**თანახმანი** **ვართ**, **რუსეთი** **გერმანეთს** **ზავით** **შეეკრასო.**—**გერმანელებმა** **შელდის** **დასავლეთით** **ფრონტი** **გაარღვიეს** **და** 4 **ათასი** **ტყვე** **წაიყვანეს.**

წერილები:

მეთაური. **ჩრდილო** **კავკასიის** **ამბების** **გამო.**
ვასილ **წერეთელი.** **საქართველოს** **ფინანსები.**
რუსული **პრესა.** **მაჰმადიანთა** **ეროვნება.**

ი. ბ—ანი. **რკინის** **გზა** **და...** **არისტოტელის** **კატეგორიები** (**პატარა** **ფილეტონი**).
ბ. ჯანაშვილი. **ადმოსავლეთი** **და** **დასავლეთი.**

ნ. ძეცხოველი. **ერთი** **თვე** **მესხეთში.**
ქრონიკა. **გარეთ** **კახეთიდან.**

რუსები **ქართულ** **ეკლესიას** **შერისხვას** **უპირებენ** (**დურნოვოს** **წერილიდან**).

ბოდიშს **ვიხდიან** **ბატონ** **ვარლამ** **ბერიძეს** **ასული**, **შვილები** **სულხანი**, **სოფიო**, **ნინა**, **იოანე**, **გიორგი**, **ბერტრან** **ფაფაზოვები**, **რძალი** **ბელადი** **ბატონ** **ასული** **ფაფაზოვისა** **და** **ძმა** **ალექსანდრეს

სამხედრო წოდებაა და ცენტრალურ რუსეთის იმ მიზნით გამოეთიშა, რომ თავისი ეკონომიური და უფლებრივი უპირატესობანი შეინარჩუნოს. დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრნა რომ კორნილოვისა და კალედინის რაზმები თანამედროვე ფედერალიზმის იდეოლოგიითაა გამსჭვალული. თუ რუსეთში რეაქცია დაიწყო, პირველად სწორედ ყაზახ-რუსობა გამოვა სასტიკ ცენტრალიზმის დამცველად.

მთიელები, პირიქით, არა მარტო შეგნებით, არამედ ინსტინქტებითაც კი დეცენტრალისტები უნდა იყვნენ. რუსული იმპერიალიზმის გამარჯვება მათ სრულს განადგურებას უქადის. თბილი ზღვებისკენ მიმავალი გზა ყუბანსა, თერგსა და კავკასიონს სჭრის და რუსობა ჯერ შავი ზღვისა და კასპიის ზღვის ნაპირზე უნდა გამაგრდეს, სანამ კონსტანტინოპოლს, ალექსანდრეტას ან სპაჰანეთის ყურეს დეპატრონებოდეს. შემთხვევითი მოვლენა არ არის ის ფაქტი, რომ რუსის მთავრობამ აჰყარა და გადასახლა ჩერქეზები და აფხაზები და მათ ადგილას რუსობა დასახლა. მეთოდიურად მოიწყვეს სლავიანური ტომის ტალღა ჰადარა კავკასიონისაკენ. ალაგ-ალაგ ახალშენები წვეტიან სოლებივით შეიჭრენ მთიელების მოსახლეობაში და გროზნოს შეტაკება ერთი ეპიზოდია იმ დიდი რასიული ბრძოლისა, რომელიც ამ ერთი საუკუნის წინათ დაიწყო და რომლის გმირული მოგონებები დღესაც სთვლემენ გულზვიადი მთიელის მახსოვრობაში.

საქართველოს ფინანსები

19 ნოემბრის აქეთ საქართველო — სახელმწიფოა, რომელსაც სჭირდება საკუთარი ორგანოები: ჯარი, ფინანსები და სხ.

აქვს თუ არა საქართველოს ეროვნულ საბჭოს უფლება დაადოს საქართველოს მოქალაქეთ სახელმწიფო გადასახადები? უეჭველია, აქვს.

საქართველო შედის დღეს, როგორც მოკავშირე, ამიერ-კავკასიის ერების კონფედერაციაში და, მაშასადამე, თანამონაწილეობა უნდა იყოს საერთო საფინანსო ტვირთის ზიდვაში. ერთი სიტყვით, საქართველომ უნდა მოიხადოს ვალი ამიერ-კავკასიის კონფედერაციის წინაშე და შეიტანოს თავისი წილი ზიარ ხარჯებში.

იმავე დროს საქართველოს ეროვნულ საბჭოს უნდა ახსოვდეს, რომ უმთავრესი მისი დანიშნულება საქართველოს ხაზინის შექმნაა და მის მიერ გამოცემული საფინანსო დეკრეტები—საქართველოს თვითეული მოქალაქისათვის სავალდებულოა.

მეორე დაუშრეტელი საფინანსო წყარო—საერობო გადასახადებია. საქართველოს ეროვნული ყრილობის დადგენილებით საქართველოში დღესვე უნდა შემოღებულ იქნეს ერობა, რომელსაც ექნება თვით დაბეგვრის უფლება. უეჭველია, რომ საერობო სალაროებში სულ მცირე ხანს დიდი ფული შეიკრიბება. და საქართველოს ეროვნულ საბჭოს ნება ექნება გადატანოს ამ სალაროებიდან საჭირო თანხა სესხად და მოახმაროს აუცილებელ სახელმწიფოებრივ საჭიროებათ.

და, თუ ფინანსების მხრით უზრუნველყოფილი ვიქნებით, ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრება იდვილად გადალახავს ყოველგვარ დაბრკოლებასა და გაიკვლევს გზას თავისუფლებისაკენ.

ვახტანგ წერეთელი.

რუსული პრესა

მაჰმადიანთა ეროვნება.

„პეტროგრადსკია ვედომ.“ სწერს: სხვა და სხვა ეროვნულ მოძრაობაში ამ ჟამად განსაკუთრებული ალაგი უჭირავს მაჰმადიანთა მიმართულებას.

თუმცა მაჰმადიანთა მოღვაწენი და ყრილობები ცდილობენ, რომ რუსეთის მაჰმადიანები ერთ მთლიან „ეროვნებად“ გამოაცხადონ, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მაჰმადიანები ეროვნებათა მთლიან ჯგუფს წარმოადგენენ. მათ შორის არის განსხვავება როგორც ჩამოშავლობით, ისე ენის და ზნე-ჩვეულებისა და ყოფაცხოვრების მხრივ. ამ ჯგუფს აერთებს წმინდა სარწმუნოებრივ ხასიათის ნიშნების გარდა კულტურის ერთიანობა, რომელიც ისლამის გავლენით აიხსნება.

მუსულმანთა შორის თურქული ელემენტები ჭარბობენ. ეს უკანასკნელნი სისხლით და ენით მეტად უახლოვდებიან ოსმალებს. ამის გამო მაჰმადიანებიც ოსმალეთისკენ, ისლამიზმის ცენტრისკენ ესწრაფვიან.

თურქულ ეროვნებათა გარდა მუსულმანთა შორის ჩვენ ვხედავთ არიელებს, ოსებს, ქურთებს და ამიერ კავკასიის ტატებს, თურქესტანის ტაჯიკებს, აფარელებს, კავკასიის მთიულებს: ლეკებს, ჩეჩნებს, აფხაზებს და ინგუშებს.

მაჰმადიანთა შორისვე ვხედავთ ციმბირის თურქულ ტომებს: იაკუტებს, ალტაიელებს, თათრებს, სოიოტებს და ზოგიერთა სხვა ნახევრად ქრისტიანებს და ნახევრად შამანისტებს და შაშასადამე მუსულმანთა ეროვნების გარეშე მდგომნი.

„მუსულმანთა ეროვნების“ შექმნის პროცესი გამოიწვევს არა თურქულ მუსულმანურ ეროვნებათა გათურქებას. ცალცალკე მუსულმანურ ეროვნებათა გათურქება კი სასურველად არ ჩაითვლება არც სახელმწიფოსი და არც ერთა თვითგამორკვევის პრინციპის თვალსაზრისით.

ზავის გარშემო

ზავი გერმანეთთან

პირობები

ირკვევა, რომ გერმანეთი დროებით ზავის პირობებად აყენებს ოსმალეთის სანაპიროების—ტრაპიზონის და გალიციის რუსის ჯარებით გაწმენდას და მთელ იარაღის ჩაბარებას.

მოლაპარაკების დაწვრილებითი ცნობები

პეტროგრადელ რევოლუციის მხსნელ კომიტეტში ბრესტ-ლიტოვსკიდან მიღებულია დაწვრილებითი ცნობები ზავის შესახებ.

გენერალ ჰინდენბურგმა და ჰეტცენდორფმა მოლაპარაკება მიანდვეს ლეოპოლდ ბავარიელს, მან თავისი მხრით რწმუნებულება გადასცა თავის შტაბის უფროსს, ჰოფმანს. რუსმა დელეგატებმა დაიწყეს დეკლარაცია ზავის შესახებ, რაზედაც გერმანეთის დელეგატებმა განაცხადეს, რომ მათ მინდობილი აქვთ დროებითი ზავის შესახებ მოლაპარაკება. ზავი—დიპლომატიის საქმეა. ამ შემთხვევაში მათ არ ძალუძთ რაიმე დაუმატონ ჩერნინის ცნობილ განცხადებას. გერმანელ დელეგატებმა უარი განაცხადეს საზავო კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებაზე, მიზეზად დაასახელეს რწმუნებულების უქონლობა. რუსების მიერ შედგენილ საზავო პროექტს, რომელშიც მოთხოვნილია, რომ შესწყდეს ჯარების გადაგზავნა რუსეთის ფრონტიდან მოკავშირეთა ფრონტზე, და მოონზუნდის გაწმენდა გერმანელების მიერ—უარყოფით შეხვდნენ. გერმანელ დელეგატებმა განაცხადეს, რომ ამგვარი წინადადების შეწყნარება შეიძლებოდა ხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გერმანია დამარცხდებოდა. მოონზუნდის დაცლა აბსოლუტურად შეუძლებელია. თავის მხრით გერმანელებმა წარადგინეს დროებითი ზავის პროექტი, რომელშიც მოლაპარაკება შეეხება ფრონტს—პალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე 28 დღით—8 ქრისტეშობისთვიდან (ახალი სტილით).

სმოლნიდან რუს დელეგატებმა მიიღეს ლენინის და ტროცკის ბრძანება, რომ არაფერი არ დასთმონ თავის პროექტიდან, დაბრუნდნენ პეტროგრადში და შემდეგი პაემანი დანიშნონ რუსეთის ტერიტორიაზე ერთი კვირის შემდეგ.

გენერალ ჰოფმანის განცხადება

კერძო საუბარში გენერალ ჰოფმანმა რუს დელეგატს იოფფეს განუცხადა, რომ რუსულ პროექტის დაკნინება—ნიშნავს მოლაპარაკების შეწყვეტას. ჩვენ გაგვიცხადა ჰოფმანმა, რომ თუ დიკნინებთ—ჩვენ ომს გავაგრძელებთო.

ვილსონის სიტყვა

დეკემბრის ორში (ახ. სტ.) კონგრესზე წარმოთქმულ სიტყვაში პრეზიდენტმა ვილსონმა ცხარედ გაილაშქრა მათ წინააღმდეგ, რომელნიც უდროო ზავს მოითხოვენ, და განაცხადა, რომ ზავი ჩამოვარდება გერმანეთის დამარცხების შემდეგო.

— ამერიკა,—განაცხადა ვილსონმა,—ომს გათავებულად არ ჩასთვლის, ვიდრე გერმანეთის ერი არ მოითხოვს ზავს, რომელიც დაკმაყოფილებს გერმანიის მთავრობის მიერ დაზარალებულთ.

— რადგანაც ამერიკამ გერმანეთს გამოუცხადა ომი და არა მოკავშირეთ—განაგრძობს ვილსონი—ამისთვის მოგმართავთ წინადადებით—გამოეცხადოს ომი ავსტრიასაც, რომელმაც სრულიად დაჰკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ახლა მთლად გერმანეთის ხელში იმყოფება.

თავის სიტყვის დასასრულში ვილსონმა წამოაყენა მისაღებად რამდენიმე საკანონმდებლო ზომები ომის ენერგიულად წარმოებისთვის.

ჰინდენბურგის განცხადება

„Neue Freie Presse“-ს კორესპონდენტი გადმოგვცემს ჰინდენბურგთან საუბარს.

— ჩვენი მდგომარეობა—უთქვამს ჰინდენბურგს—საუცხოვოა. ზამთრის გატარება თხრილებში მოგვეხდება. რაც უფრო ახლოვდება ომის დასასრული, მით უმეტეს უნდა დაეჭიმოთ ძარღვები სამოქმედოდ. მე არა მსურს ვილაპარაკო ბავშვზე. ზავი მაკმაყოფილებს. ზავი ჯერ ჯერობით ჩვენ ხელში ჭიმავს ტლანქი ხელის შეხებას. რუსებმა პირველად დაიწყეს. ამით არ მინდა ვსთქვა, რომ ბოლშევიკებს ძალუძთ თავის ნებისყოფის განხორციელება. დასტური, რუსეთთან მოლაპარაკება ჩვენს ინტერესებს არ დაზიანებს. სხვა საკითხია თუ საზავო მოლაპარაკებას ყველა ფრონტებზე დავიწყებთ. წყალქვეშათა მოქმედებას აროდეს არ შევჩერებთ ამ სამი თვის განმავლობაში. ეს მტრისთვის სასარგებლოა.

შეეხო რა დასავლეთ ფრონტის მდგომარეობას, ჰინდენბურგი განაცხადა:

— აქ თავდაცვის ომს ვაწარმოებთ. ჩვენი თავდაცვა ელასტიურია. რანაირ გამარჯვებასაც გინდა მიაღწიონ ფრანგ-ინგლისელებმა, სულ ერთია, ბელგეთს ვერ დაიბრუნებენ და მით უმეტეს რეინსაც ვერ მიაღწევენ. რაც შეეხება რუსეთის ლაშქარს, ჰინდენბურგი მას უნაწყოდ სთვლის მცირე ოპერაციებისთვის, მაგრამ მოსახერხებლად მიაჩნია, რომ ძლიერ პიროვნებას ძალუძს დისციპლინის აღდგენა და მდგომარეობის გაუმჯობესებაო.

უკრაინის რადის გადაწყვეტილება

უკრაინის სახალხო რესპუბლიკის სახელით რადა საჭიროდ სცნობს შეუდგეს საზავო მოლაპარაკების თადარიგს. თუმცა საზავო საკმე რუსეთის რესპუბლიკის სახელით შეუძლიან გამართოს მხოლოდ ცენტრალ სოციალისტურ ორგანომ, მაგრამ რადგანაც ასეთი არ შექმნილა, ამისთვის რადა თვითვე განახორციელებს ზავს. რადამ დაადგინა:

ა) გაგზავნოს სეკრეტარიატის წარმომადგენლები რუმინეთის და სახხრეთ-დასავლეთის ფრონტზე მოსალაპარაკებლად.

ბ) გიმართოს ყველა სახელმწიფოებს, რათა დაიწყონ საზავო მოლაპარაკება.

გ) დაეგზავნოს ამის ცნობები სახალხო კომისრებს და რუსეთის რესპუბლიკების სხვა მთავრობათ.

დ) შემუშავებულ იქმნას ზავის კონკრეტულ პროგრამის შედგენა რუსეთის ერებისთვის და სამტრო და მოკავშირე სახელმწიფოებისათვის. რადა მოუწოდებს ყველა ერებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ მოლაპარაკებაში.

გერმანეთის რაიხსტაგში

გერტლინგის გამოსვლას ყველა ველოდა, რადგან იცოდენ, რომ იგი ზავზე ილაპარაკებდა. კანცლერმა იმედები არავის გაუცრუა და ზავზე დაილაპარაკა, მაგრამ იგი ლაპარაკობდა ისეროგორც გამარჯვებულს შეეფერება. სიტყვის მთავარ ნაწილში იგი რუსეთთან დამოკიდებულებას შეეხო.

„არ შეიძლიან, არ განვაცხადო,—სთქვა კანცლერმა,—რომ რუსეთის მთავრობის წინადადება საშუალებას ეძლევა, რომ მოლაპარაკება დავიწყოთ. ამისთვის კი მე მზად ვარ და როდესაც რუსეთის რწმუნებული წარმომადგენლები გამოცხადდებიან მოლაპარაკებას შევუდგები. მე მსურს და იმედიც მაქვს, რომ ზავისადმი მისწრაფება ზავს მოგვიპოვებს. ჩვენ გვსურს, რომ რუსეთში რაც შეიძლება მალე იქმნას აღდგენილი წესიერება. ჩვენ რუსეთთან ყველაფერ მეგობრული განწყობილება გვექნება განსაკუთრებით კი ეკონომიური, თუმცა ნაადრევია გაზეთების ის ცნობები, ვითომც პოლონეთი, ლიტვა და კურლიანდია ავსტრიასა და გერმანეთს შეერთებოდეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეფის მთავრობის ქვეშ ყოფ ოლქებს უნდა მიენიჭოს თვითგამორკვევის და დამოუკიდებლად სახელმწიფოებრივ ფორმების შექმნის უფლება.

რაც შეეხება დანარჩენ სახელმწიფოებს, ჩვენ მათ მიმართ სულ სხვა პოზიცია გვიჭირავს. პაპის საზავო ნოტაზე გაცემული ჩვენი პასუხი ნიადაგს უკარგავს პრუსიის მილიტარიზმის შესახებ ყბედობას. იტალეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა სონინომ ამას წინად უარჰყო გერმანეთის წინადადება იარაღის აყრის შესახებ, კლემანსო ხომ აპარბებს. მის აზრით, მომავალ ერთა მშვიდობიან კავშირში გერმანეთს და ავსტრია-ჰუნგრეთს ალაგი არ ექნება.

ლლოიდ ჯორჯმა ხომ ომის მიზნად გერმანეთის მრეწველობის და ვაჭრობის შემუსვრა გამოაცხადა. ჩვენი მიზანია ჩვენი სამშობლოს დაცვა, მის ტერიტორიის ხელ შეუხებლობა და ჩვენი ეკონომიური განვითარების თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ამიტომ ჩვენ სიხარულით შევეგებენით პაპის წინადადებას. ნაციონალ-ლიბერალმა შტრეზემანმა განაცხადა, რომ ნაციონალ-ლიბერალები სრულიად ეთანხმებიან კანცლერის საგარეო პოლიტიკის კურსს. რაც შეეხება რუსეთთან დროებით ზავს ჩვენ უნდა გვქონდეს გერმანეთის პოლიტიკურ სამხედრო და ეკონომიურ ინტერესებს გარანტია.

კონსერვატორების წარმომადგენელმა გრაფ ვესტარმა უპირველეს ყოვლისა პროტესტი განაცხადა მიხაელისა და გეორგიევის დათხოვნის გამო. შემდეგ სთქვა, რომ კონსერვატორები სრულიად არ ეთანხმებიან კანცლერს, ვერ ეკუბებიან მის საზავო პოლიტიკას და არც პაპის საზავო ნოტაზე გაცემულ პასუხის პრინციპებს იზიარებენო. ჩვენი პროგრამა ასეთია: გერმანეთის ხმლით შენაძენი ყველაფერი გერმანეთს უნდა დარჩეს.

დამოუკიდებელ სოციალისტების მამათ-მთავარი ჰაზე შეეხო გერმანელების სურვილებს, სახელდობრ: რომ მათ ჰსურთ ნ ტერ-ნაციონალ რუსეთის დატაცება და ბოლშევიკების ხელიდან იფ ფასიან ზავის გამოტაცება.

ხელშეკრულება სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტის შესახებ

1) ეს ხელშეკრულება დროებითია და საგალდებულო ორივ მხარესათვის 3 თვის განმავლობაში, ე. ი. 1918 წლის იანვარსა და თებერვალშიც ანდა მთელს რუსეთის ფრონტზე დროებით ზავის ჩამოგდებამდე, თუ ეს ზემოხსენებულ ვადამდე მოხდება.

2) ეს ხელშეკრულება დარღვეულ იქნება, თუ ფრონტზე რომელიმე მხრის ჯარი სამხედრო მოქმედებას დაიწყებს და ამის შესახებ კი წინასწარ გაფრთხილებას არ მოახდენს.

3) ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე უნდა შესწყდეს ყოველივე სამხედრო მოქმედება.

4) უნდა შესწყდეს საჰერო ზვერვა. მფრინველებმა თხრილებთან ხუთი ვერსის მანძილზედაც კი არ უნდა იფრინონ.

5) უნდა შესწყდეს მავთულის ხლართების გარედ მზვერავთა რაზმების გაგზავნა.

6) მოყარაულეთ ნება არა აქვთ თავიანთ მავთულის ხლართს გამოსცდნენ.

7) ორივე მხარე მოვალეა არავითარ სამზადისში არ იყოს.

8) მავთულის ხლართებს იქით ნება დართულია ისეთი სამუშაო, რაც ასპარეზი ათვის საჭიროა.

9) ორივე მხარე მოვალეა არ იქონიოს ოპერაციული გადატან-გადმოტანა, ჯარების გადაყვან-გადმოყვანა. აკრძალულია ამა თუ იმ ადგილას სამხედრო ძალების თუ საშუალებათა დაგროვება.

10) ხელშეკრულებით გერმანელთა ცალცალკე ბრიგადების და ავსტრიელთა ნაწილების გადაყვან-გადმოყვანა არ შეიძლება. ასევე არ შეიძლება, რომ ფრონტზე დასაგლეთ ფრონტიდან რუსის ჯარები იქმნენ გადაყვანილნი.

11) ნეიტრალ ზონად ითვლება ორივე მხრის მავთულის ხლართთა შუა მდებარე ალაგი.

12) ნეიტრალ ზონში შეიარაღებული გამოსვლა აკრძალულია.

13) ხსენებულ ნეიტრალ ალაგში ჯარისკაცებს მისვლა-მოსვლა შეეძლიანთ დილიდან საღამომდე.

14) ვინც ნეიტრალ ალაგს გამოსცდება, სამხედრო ტყვედ ჩაითვლება.

15) ცხარე სასმელების ყიდვა-გაყიდვა ნეიტრალ ალაგას აკრძალულია.

16) თუ რაიმე გაუგებრობა იჩენს თავს ამ ხელშეკრულების ასრულების დროს—იგი ორივ მხრის რწმუნებულებმა უნდა გაარჩიონ. რწმუნებულთა კრების დროსა და ალაგს პარლამენტერები უნდა ნიშნავდნენ.

17) შეიძლება ამ ხელშეკრულების დამატება თუ შესწორება.

18) ეს ხელშეკრულება, როგორც ნაწილი შევა იმ ხელშეკრულებაში, რომელიც დაიწერება ზეელს რუსეთის ფრონტზე დროებით ზავის ჩამოსაგდებად.

ბოლშევიკების დიქტატურა

პეტროგრადში

გადასახადის აკრეფა საბჭოს მიერ.

სახალხო კომისრების საბჭომ ადგილობრივ მუშათა ჯარის კაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს გადასახადების აკრეფის ნება დართო.

გენერალ მარუშევსკის განთავისუფლება.

გაანთავისუფლეს გენერალურ შტაბის ყოფილი უფროსი გენერალი მარუშევსკი. გაშვების წინ ტროიცკის უთხოვნია მარუშევსკისთვის: დარჩი თანამდებობაზე ხელოდ სახალხო კომისრების საბჭო იცანიო. გენერალ მარუშევსკის უპასუხნია. მე ფიცი დაუდე დროებით მთავრობას და ჩემს ფიცს არ ულალატებო. ამის გამო ტროიცკიმ მარუშევსკი თანამდებობიდან გადააყენა და პენსიაც წართვა. მასთან ერთად გაანთავისუფლეს გენერალი მანიკოვსკი.

კერენსკის მოწოდება ლაშქრისადმი

„დელო ნაროდა“-ში დაბეჭდილია კერენსკის მოწოდება, ლაშქრისა და მეზღვაურების მიმართ.

„გამოფხიზლდით, ნუთუ ვერ ბუდავთ, რომ უსირცხვილოდ მოგატყუესთ? თქვენ სამ დღის განმავლობაში აღგითქვეს ზავი გერმანეთთან მაგრამ—ამის ნაცვლად თქვენ კაცის მკვლელებად და „ოპრიჩნიკებად“ გარდაქმნეს. ნიკოლოზ მეორესაც ამაყად შეუძლიან ასწიოს თავი. მის დროსაც კი არ ხდებოდა ასეთი საშინელება. მილიუტა სკუტაროვის „ოპრიჩნიკებს“ ლ. ტროიცკის „ოპრიჩნიკებმა გადააპარბეს. თქვენ პური აღგითქვეს, მაგრამ კარგა ხედავს თქვენი თვალები, რა სიმშილი გამეფდა. თქვენი შვილები მალე შეიგნებენ თუ ვინ ჰლუპავს მათ. თქვენ აღგითქვეს თავისუფლება, მერე სად არის ეს აღთქმული თავისუფლება? უტვინო მოღალატეთა რაზმი ჰკლავს თავისუფლებას, ჰლუპავს ჩვენს სამშობლოს.

გამოფხიზლდით, ვისაც კი სინდისი შეგრჩენიათ, ვისაც კი კაცის ნიშანწყალი გეტყობათ. იყავით მოქალაქენი, ნუ ჰლუპავთ თქვენისავე ხელებით სამშობლოსა და რევოლუციას, რომ ლისათვისაც 8 თვე იბრძოდით. დაჰგმეთ უტვინო მოღალატენი, დაუბრუნდით ხალხს, დაუბრუნდით სამშობლოსა და რევოლუციის სამსახურს.

ამას გეუბნებით კერენსკი, რომელიც თქვენმა „რაინდებმა“ კონტრრევოლუციონერი კორნილოვის მომხრე მიწოდეს, მე რომელიც 8 თვის განმავლობაში რევოლუციურ დემოკრატიის ნებით ვიცავდი ხალხის თავისუფლებას და მშრომელ მასის მომავალ ბედნიერებისათვის ვიბრძოდი. მე რჩეულებთან ერთად თქვენ დამფუძნებელ კრებამდის მიგიყვანეთ და, გხლა კი როდესაც ლენინმა და ტროიკამ დიქტატურა გამოაცხადეს.—ბრმებისათვის კი ნათელი შეიქმნა, რომ მაშინ, როდესაც მთავრობა ჩემს ხელთ იყო ნამდვილი თავისუფლება მეფობდა, ხოლო ეხლა კი თუ არ გამოფხიზლდებით ჩვენი სახელმწიფო მთლად დაღუპება. გამოფხიზლდით!

მოსკოვში

რკინის გზის კავშირი და ბოლშევიკები

სრულიად რუსეთის რკინის გზის კავშირს სრული უფლება მოსილება არ მიანიჭეს გზათა სამინისტროში. შესაძლოა კავშირის წევრები დაეპატიმრონ. ამას კი სრულიად რუსეთის რკინის გზის მოსამსახურეთა კავშირის გაფიცვა მოჰყვება.

პროვინციაში

დონის უაზახთა წრე

ქრისტესშობისთვის პირველისათვის ნოვოჩერკასში მოწვეული იყო დონის ყაზახთა წრე. წრე განიხილავს რუსეთის მდგომარეობას ბოლშევიკების მიერ მთავრობის ხელში ჩაგდებით გამ წვეულს, იმსჯელებს იმ ზომებზე რა ზომებითაც შესაძლო გახდება სამოქალაქო ომის თავიდან აცილება. წრეში თვითეული სოფლის საზოგადოება თითო გლეხს გზავნის.

ბოლშევიკები ყუბანში

„პ. ა“-ს სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ჯარის ერთი ნაწილთაგანი, მიდის ყუბანის ოლქში და უკვე იმყოფება გულკევიჩის სადგურის სახლვრებში, სადაც დროებით შეჩერებულა. ჯარის განწყობილება „ბოლშევიკურია“. მათ წინააღმდეგ გაგზავნილი ყაზახები.

ბოლშევიკების ინსტრუქტორი

ალექსანდრეს ბრძანებით. კავკასიის განყოფილების ატამანად დანიშნულია ადგილობრივი დ. ი. ხოდკევიჩი.

ბოლშევიკები ასტრახანში ასტრახანში მოსულა 150 მეზღვაური; თვითეული მათგანი შეიარაღებულია ვინტოვკით და ტყვიისმფრქვეველით. ცალკე ჯგუფში შენახულია 30 ტყვიისმფრქვეველი. ყველა ეს საჭიროა თურმე იმ სათადარიგო ქვეითი პოლკის შესაიარაღებლად, რომელიც დღეს ასტრახანში ბინადრობს. ცარიცინიდან დონზე აპირობენ. ეს შეკრება დონისთვის—მეტაბა მხრიდან ასტრახანის რაზმს მეთაურობს მოლშევიკი პორუჩიკი ბელიაინინი.

ბოლშევიკები როსტოვში როსტოვში ყაზახებმა გაჰფანტეს ბოლშევიკები და დაიპირეს ტელეგრაფი, ფოსტა, ბანკი, სადგურები და სხვა დაწესებულებები. კალედინმა მთელ ოლქში სამხედრო წესები გამოაცხადა. გამოიცა ბრძანება, რომლითაც დათხოვნილია ყველა ქვეითი ნაწილები.

რუს-თათართა თავდასხმა მენზელინის მაზრის თათრები თავს დესხნენ ჩისტოპოლის მაზრის რუს მცხოვრებლებს. თათართა მიზანი იყო გაეძარცვათ მდიდარი სოფელი შერგმეტევი, მაგრამ შერემეტეველებმა შეადგინეს მტკიცე ორგანიზაცია და მოიგერიეს თავდასხმა. მოკლულია 17 თათარი, დანარჩენი გაიქცნენ.

ბოლშევიკები მინსკში მინსკში საერობო კავშირი სრულიად გაიფიცა. მილიციამ ბოლშევიკების მოთხოვნილებაზე პროტესტი განაცხადა. ბოლშევიკებმა განაცხადეს, რომ ურჩებს რევოლიუციონურ სამართალში მისცემენ. უფფლების გამო, სარკინისგზო, სამოქალაქო, 6 ზოგიერთმა სახელმწიფო დაწესებულებებმა მოსამსახურეებს ფულის ძღევა შეუწყვიტეს.

დამფუძნებელ კრების გარშემო

კადეტების წინააღმდეგ

სახალხო კომისრების საბჭომ შეიმუშავა პროექტი, რომლის მიხედვითაც კადეტებსა და ბურჟუაზიის სხვა წარმომადგენლებს დამფუძნებელ კრებაზე არ დაუშვებენ.

დროებით მთავრობის ზომები.

დროებით მთავრობის წევრები ყველა ზომებს დებულობენენ, რომ დამფუძნებელი კრება აუცილებლივ გიორგობისთვის 28-სათვის ყოფილიყო მოწვეული, რადგან ბოლშევიკებს ის იმედი აქვთ, რომ ეხლა კრება არ შესდგება და მის მარტისთვის გადასდებენ.

ეროვნული საკითხი

ბესარაბიის ავტონომია.

კიშინევში დიდი ზვიმით გაიხსნა ადგილობრივი საბჭო „სფატულ ცარი“. იგი შესდგება 150 დეპუტატის მიერ—რომელნიც ურეგიან ბესარაბიის ყველა ეროვნების სოციალისტური პარტიების და თვითმართველობის წარმომადგენლები. თავმჯდომარედ, ერთხმად არჩეულია პეტროგრადის უნივერსიტეტის პრივატდოცენტი ი. კ. ინკულეცი.

სადღესასწაულო სიტყვაში, ინკულეცმა განაცხადა, რომ სფატულის მიზანია, გადაარჩინოს ბესარაბია ანარქიას, მოაწყოს სეფსათის საქმე, განახორციელოს რეგიონალიზაციის მიზანი, დაამყაროფილონ ეროვნებათა უმცირესობა.

პირველი ყრილობა მოუნდა მილოცვების მიღებას სხვა და სხვა პარტიებიდან და ეროვნებათაგან. ყველა გამოსვლათა ლეიტმოტივი: ბესარაბია, როგორც ავტონომიური ოლქი შედის რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკის შემადგენლობაში.

უკრაინა და რუსეთი

ლენინის დიქტატორები და კომისრები

სურსათის უფროს მდივნის კოვალევსკის მიერ ყველა სურსათო კომიტეტებში დაგზავნილია შემდეგი შინაარსის ტელეგრამა:

„მე მოვიგიდა ცნობები, რომ სახალხო კომისრების საბჭო უკრაინის გუბერნიებში ჰნიშნავს სასურსათო დიქტატორებს და კომისრებს.

ამით ვეცხადებ, რომ, მას შემდეგ რაც უკრაინაში რესპუბლიკა გამოც-

ხადდა, ხელმწიფეგა გენერალ სეკრეტარიატის ხელში გადავიდა, რომელსაც ნება აქვს თანამდებ დაწესებულებებში თავისი კომისრები ჩააყენოს.

არავითარი სხვა ორგანიზაციები თუ ინსტანციები, როგორც კერძო, ისე სამთავრობო, არ დაინიშნება სეკრეტარიატის ნება დაგრ ველად. ამისთვის ვისაც არ ექნება სეკრეტარიატის რწმუნებლობა, არ იქმნება დაშვებული სამსახურში.

უკრაინის ბანკები.

უკრაინის ეკონომიურად წარმატებისათვის ახლო მომავალში არსდება მთელი რიგი უკრაინულ ბანკებისა. კიევში გახსნილ უკრაინულ კოოპერატ ბანკის გარდა, გახსნილია უკრაინის ბანკი ოდესაში და კვლავ ხარკოვში.

უკანასკნელი დეპეშები

რომანოვის ოჯახი ტობოლსკიდან კრონშტადტს გადაყავთ.

—

სახალხო კომისრების საბჭომ გადახწყვიტა, დამფუძნებელი კრება გახსნას მაშინ, როდესაც პეტროგრადში 400 წევრი გამოცხადდება.

—

პეტროგრადის სარაიონო საბჭოები მოუწოდებენ მცხოვრებლებს: დამფუძნებელ კრების გახსნისას მანიფესტაციით თავრიდის სახახლეში მიდით. პირველ სხდომაზე ყველა სოციალისტი მინისტრები აპირებენ გამოცხადებას.

—

პეტროგრადში ჩინიზელის ციხეში წერეთელს გამარჯვება ხვდა. იგი დამფუძნებელ კრებას იცავდა.

—

როსტოვში ბოლშევიკებმა პოგოცკი შეიპყრეს.

—

სახალხო კომისრების დეკრეტით შეპყრობილ იქნებიან კადეტების ლიდერები, როგორც კონტრ-რევოლიუციონერები.

ქრონიკა

თბილისი

← გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია ერთხელ და სამუდამოთ აუწყებს პატივცემულ ბ. ბ. ავტორებს, რომ დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და არც არავითარ მიწერ მოწერას კისრულობს მათ შესახებ.

← **დამფუძნებელი კრება.** ცნობა მოვიდა, რომ პეტროგრადში დამფუძნებელი კრება უკვე გაიხსნა. მცხოვრებნი აღფრთოვანებულნი არიან. ლატიშთა პოლკებმა უარი სთქვეს დამფუძნებელ კრების ჩაშლაზე.

← **მოწოდება.** ქალაქის გამგეობა დღევანდელი მომენტის გამო მოუწოდებს მცხოვრებლებს დაიცვან სიდინჯე და დაემორჩილონ მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის ყოველივე განკარგულებას, რომელმაც ითავა ქალაქის დაცვა. გამგეობა წინადადებას აძლევს ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთ, რომელნიც წითელ გვარდიაში არ არიან ჩაწერილნი, თავიანთ ადგილას იყვნენ და მუშაობა ჩვეულებრივ განაგრძონ. ავრეთვე გამგეობა წინადადებას აძლევს ვაჭრებს არ შეწყვიტონ ვაჭრობა, რადგან მათ ქონებას არავითარი საშიშროება არ მოელის.

← **საოლქო ცენტრის მოწოდება.** უკანასკნელ ხანებში სარევოლიუციო ორგანიზაციების მუშაობა მეტად შეფერხდა. უპასუხისმგებლო პირები ბნელად მოქმედობენ: სთესავენ ეროვნულ შფოთს და მოუწოდებენ შეიარაღებულ გამოსვლისკენ და პროვოკაციულ მოქმედებისკენ. პროვოკატორები მოუწოდებდნენ: თბილისიდან შემთხვევით გავლილს (ჩრდილო კავკასიაში) სახელდონაწილს, ეთხოვა საბჭოდან ოქროს ფული (სპარსულ ვალეტით) და სხვა და სხვა სათხილობლები. ერთმა პოლკმა ორი მილიონი მანეთი მოითხოვა. ყველა ეს მოთხოვნილებები და გამოსვლანი ხელს უშლის სურსათის მარჯვე მიწოდებას. ამისთვის საჭიროა მოისპოს ყოველგვარი პროვოკაციული გამოსვლები და შესაძლო გახდეს სარევოლიუციო ორგანიზაციისთვის მოვალეობის პირნათლად მოხდა ლაშქრის და მცხოვრებთა წინაშე.

← **არხენალიდან ტყვიისმფრქვეველები მოაქვთ.** ამიერ კავკასიის მე-2-რე ქვეითი ბრიგადის უფროსი გენერალ მაიორი გუსაგოვსკი აცხადებს: „ჩემდა რწმუნებულ ბრიგადის სატყვიისმფრქვეველო კომანდის უფროსმა განმიცხადა, რომ დამით 29—30-ს უცნობმა დარეკა ზარი და ითხოვდა არსენალში ტყვიისმფრქვეველთა კომანდა და 218 პოლკის მე 4 ბატალიონის გაგზავნას, რადგან არსენალს იდებენ მუშებია. თხოვნა შეუწყნარებელ იქმნა და ბრძანება გაიცა, არსად არ გაეგზავნათ ტყვიისმფრქვეველები და კომანდაც თავის ალაგას დარჩენილიყო. მიუხედავად ამისა, კომიტეტის თავმჯდომარე ვოლნოოპრ. კიეკუცთან ერთად თავისნებით გაემართა ორი ტყვიისმფრქვეველით, მაგრამ იგი გზაზე შეიპყრეს წითელგვარდიელებმა.

← **ქართული უნივერსიტეტისა და ქართული თეატრის უზრუნველყოფა.** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა ნება დართო ივ. ჯავახიშვილს, სოლომონ ბეგლარიანს და შალვა დადიანს, როგორც უნივერსიტეტისა და თეატრის წარმომადგენლებს, რომ მათ ერთი წლის განმავლობაში მოაწყონ ხუთი მილიონის მომგებიანი ლატარეია, რომლის წმინდა შემოსავალიც მოხმარდება ქართულ უნივერსიტეტის თანხას და ქართული თეატრის აშენებას.

← **ქალაქთა წარმომადგენელების ყრილობა.** გუშინ ქრისტეშობისთვის 1-ს დღის 1 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში დაიწყო ქალაქთა დელეგატების ყრილობა. ამ ყრილობაზე მოწვეული იყვნენ მთელი კავკასიის ქალაქების დელეგატები, მაგრამ ჩრდილო-კავკასიიდან არავინ გამოცხადებულა. კრებაზე მივიდა ამიერ-კავკასიის 17 ქალაქის 30 წარმომადგენელი. კრება გახსნა თბილისის ქალაქის მოურავმა ნ. ელიავამ და შეისალმა მას დ. ადინშნა კრების განსახილველი საკანები. ამასთანავე წინადადება მისცა კრებას აერჩია პრეზიდიუმი. კრება ფრაქციებად დაიყო და თათბირი გაიმართა პრეზიდიუმის კანდიდატების შესახებ.

← **იარაღის დარიგების მოწესრიგება.** ქრისტეშობისთვის 1-ლს, კრება უნდა ჰქონოდა თბილისის გარნიზონის ყველა ნაწილების რწმუნებულების დღევანდელ მომენტის შესახებ მოსალაპარაკებლად. სხვათა შორის კრების საგანი იყო საგანგებო კომისიის არჩევა, რომელსაც იარაღი უნდა ჩაბარდეს, რათა საჭიროების მიხედვით იგი დაარიგოს მცხოვრებთა შორის.

← **სურსათის მოსვლა.** გიორგობისთვის 29 სურსათი სრულებით არ მოსულა. 30 მოვიდა 2 ვაგონი ფქვილი, 3—ხორბალი, 1—კარტოფილი. ქრისტეშობისთვის 1 არაფერი მოსულა.

← **დახმარების აღმოჩენა.** ქალაქის გამგეობამ განიხილა მასწავლებელ ქალთა საზოგადოების შუამდგომლობა, რომ ქალაქმა დახმარება აღმოუჩინოს საზოგადოების გიმნაზიას დეფიციტის დასაფარავად და შემდეგ ეს გიმნაზია საკუთარი ჩაიბაროს ქალაქმა. გამგეობა დასთანხმდა ფულით დახმარების მიცემაზე დეფიციტის დასაფარავად, მაგრამ გიმნაზიის ჩაბარების შესახებ უარი განაცხადა.

← **კახეთის რკინის გზის ტარიფი.** კახეთის რკინის გზის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა, რომ ნება მიეცეს ძის გზის ტარიფის გადიდებისა მსგავსად სხვა რკინის გზებისა. სახელდობრ უნდა გადიდდეს: სამგზავრო ბილეთები 100 პროცენტით, საქონლის გადატან-გაცმოტანა 300 პროცენტით, დამატებითი გადასახადი 100 პროცენტით, სადგურის ხარჯები 6 კაპეიკით და ა. ს.

← **ხ. ხ. ხ. ხ. წლიური კრება.** დეკემბრის 16-სათვის დანიშნულია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა წლიური კრება.

← **ხოლერის მოლოდინში.** თბილისში მიღებული ცნობების მიხედვით, ლენინგრადის მაზრაში ხოლერა უფრო გაძლიერებულა; ეკონომები არ ჰყავთ. საჭიროა სწრაფი დახმარება.

← **ხადიდებული პარაკლისი.** კვირას, 3 ქრისტეშობისთვის, პირველად ანჩისხატის ტაძარში სწირავს და სადიდებელ პარაკლისს გადაიხდის მისი უწმიდესობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უნეტარესი კირიონ მეორე.

← **მისი უწმინდესობის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უნეტარეს კირიონ მეორის განკარგულების თანახმად 23 გიორგობისთვის ქ. თბილისში გაიხსნა მცხეთის საეპარქიო დელეგატთა კრება, რომელზედაც არჩეულ იქმნა საეპარქიო საბჭოსა და სასამართლოს წევრები.**

← **ხომეხთა კათოლიკოზის პროტესტი.** სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოსი გეორგი პროტესტს აცხადებს ამიერ-კავკასიის კომისარიატის განკარგულებაზე, რომ სომეხთა საეკლესიო და სამონასტრო მამულები გადაეცეს საადგილ-მამულო კომისიებს. კათოლიკოზი თხოულობს, რომ რუსეთის დამფუძნებელ კრებამდე ეს განკარგულება შეჩერდეს.

← **პურა.** დღიდან მეპურეები და მეთორნეები პურს ორ მეოთხედს სიმინდის ან ქერის ფქვილს გაურევენ.

← **უფასოს ნიხრი.** ყველზე ახალი ნიხრი დაწესდა. შეიცარიულ ყველ გირვანქა 2 მან. 10 კაპ. უნდა გაიყიდოს, ადგილობრივ—1 მან. 50 კ.

← **ქალაქის გამგეობის მოწოდება.** ქალაქში არა სასურველ განწობილების შექმნის გამო, რევოლუციურ ორგანიზაციების და ქალაქის თვითმართველობის ორგანოთა დადგენილებით ქალაქის დაცვა ჩაბარდა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომლის ხელშიცაა მთელი მთავრობა. ქალაქის დაცვა სანდო ხელშია და ნურავის გეშინიანთ წესიერების დარღვევის გამო. ამის გამო ქალაქის გამგეობა მოუწოდებს მცხოვრებლებს სრულის ნდობით მოეპყრან რევოლუციურ წესის დამცველ მთავრობას და სათანადო წესიერი დაიცვან. ქალაქის გამგეობა მოუწოდებს ყველა კერძო და საზოგადო დაწესებულებებში მოსამსახურეთ, იმათ გარდა ვინც წითელ გვარდიაში ჩაეწერნენ, დარჩნენ თავ-თავიანთ ალაგას და თავიანთი თანამდებობა ასრულონ. მოქალაქე ვაჭრებს სთხოვენ ვაჭრობა განაგრძონ, რადგან საშიში ადარ არის რაო.

← **გაფიცვის დამთავრება.** მეტყველთა (მედიცინეთა) გაფიცვა დასრულდა. მათი მოთხოვნილებები ქარხნის პატრონებმა სავსებით დაკმაყოფილეს.

← **შრომის ბირჟა.** ქალაქის შრომის ბირჟა გიორგობისთვის 27-დან უკვე გაიხსნა. პირველ დღეებშიდე 100-ზე მეტი წინადადება შემოვიდა მუშა-ხელისა და რამდენიმე დაქირავებისა. ბირჟა მოუწოდებს, როგორც დამქირავებლებს, ისე საბუშოს მძებნელთ ჩაეწერნენ ბირჟაში, რომელიც მადათოვის ქუჩაზე იმყოფება, ყოფილ სასტუმრო „ლონდონი“, სახლი ზუბალაშვილისა.

← **ბოლშევიკების გაზეთები.** გუშინ, ბოლშევიკების გაზეთები, „ბრძოლა“ და „კავკასიური რაბოჩი“, როგორც ქართული გაზეთები, ნახევარი ფურცელი გამოვიდნენ.

← **კრება.** ერთობის უბნის კომიტეტი 3 დეკემბერს მართავს ერთობის უბნის მცხოვრებთა კრებას. კრება ეეორეთად დანიშნული და ამიტომ მოუწოდებს მცხოვრებთ აუცილებლათ დაესწრან.

← **თოვლი თბილისში.** ცივი და ქარიშხლიანი დღე გუშინ წყნარმა თოვლმა შესცვალა. მთელ ღამით არ შეწყვეტილა თოვა. ირგვლივ მთები თეთრად შემოსილია.

ქუთაისი

← **დ. ბაქრაძის გარდაცვალება** (საკუთარი დეპეშა) რაჭის მაზრის სოფელ სვეაში გარდაიცვალა მე 70 წლეულის საზოგადო მოღვაწე დავით ნიკოლოზის ძე ბაქრაძე.

← **ქუთაისის** საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტში. 27 ნოემბერს მოხდა ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა, რომელზედაც გარჩეულ იქმნა, სხვათა შორის, საკითხი სოფლის მწერლებისა და კომისრებისა და კომისრების მდგომარეობის შესახებ. სოფლის კომისრები 8 თვეზე მეტია, რაც მსახურებენ და დღემდის სასყიდელი არ მიუღიათ. ასეთსავე მდგომარეობაში არიან მწერლებიც; მათ თუმცა აღნიშნული აქვთ ჯამაგირი, მაგრამ ჯერ ვერსაიდან ვერ ღებულობენ. აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა მიეცეს წინადადება ყველა მაზრების კომისრებს გამოარკვიონ, თუ რამდენი უნდა დაენიშნოს თვიურად სოფლის მწერლებსა და კომისრებს და წარმოადგინონ საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტში. როდესაც გამოირკვა, თუ რამდენი დასჭირდება სულ მწერლებსა და კომისრებს, შემდეგ გადასახადი გაწერილ იქმნება სოფლის მცხოვრებლებზე.

← **ციხის კომისრის თანამდებობის გაუქმება.** ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელმა კომიტეტმა გააუქმა ციხის კომისრის თანამდებობა.

← **აფთიაქის მოსამსახურეთა გარშემო.** ამასწინად ქუთაისის აფთიაქების მოსამსახურეთა აღმასრულებელმა კომიტეტმა ქალაქის გამგეობაში თხოვნა შეიტანა ჯამაგირების მომატების შესახებ. ეს საკითხი ქალაქის გამგეობის, საფინანსო კომისიისა და საავთიაქო კომისიის შეერთებულმა კრებამ გიორგობისთვის 26 გადაჭრა და დადგინა თვიურად აფთიაქის მოწაფეებს მიეცეს; პირველად—150 მანეთი, ორ წლამდის—210 მანეთი, ორ წელზე შემდეგ კი—270 მანეთი. პროვიზორებს თანაშეწყობენ: პირველ წლამდის—300 მანეთი, ორ წლამდის—337 მან. და 50 კაპ. სამ წლამდის—375 მან. და სამ წელზე ზევით—397 მანეთი. პროვიზორებს თვიურად იღებენ—450 მანეთი. ამის შესახებ უნდა აირჩეს კომისია, რომელიც გაეგზავნება თბილისს, გაეცნობა თუ იქ როგორ არის დაყენებული საქმე და გამონაკლის ზომებს, თუ რა სახსრით დაკმაყოფილონ აფთიაქის მოსამსახურეები, რომ აფთიაქმა დეფიციტი არ ნახოს.

← **მილიციონერების გაფიცვა.** ქუთაისის მილიციის საკითხი დღემდის გამოუერკვეველი იყო. მილიციონერებს დანიშნული ჰქონდათ თვიურად 70 მანეთი, მაგრამ ამასაც დროზე ვერ ღებულობდნენ. უკანასკნელ დღეებში მათი ჯამაგირი თვიურად 125 მანეთამდე აიყვანეს, მაგრამ მილიცია ალეკას ვერ ეღირსა. ამისთვის მილიციონერებმა თათბირი იქონიეს გიორგ. 27 და დაადგინეს, გაიფიცონ. ეს დადგენილება მათ სასრულეში მოიყვანეს. გიორგობისთვის 28 არც ერთი მილიციონერი ქუჩაში არ გამოსულა. ისედაც უპატრონო ქალაქი, ეკვი არ არის ეხლა უარესი მდგომარეობა მოელის. მილიციონერები ამ ჟამათ 150 მანეთს თხოულობენ თვეში.

ქ. ხაშური.

← **ტელეგრაფის დაზიანება.** თოვლის გამო სადგურ ხაშურისა და ზესტაფონის შუა გაფუჭებულა ტელეგრაფის ბოძები. 20 ბოძამდის სრულიად წაქცეულია, რის გამოც ტელეგრაფი ალარა მოქმედობს.

ქ. ჭიათურა

← **სალამო ნადიმი.** ქრისტეშობისთვის 2 აქ გაიმართება დიდი სალამონადიმი. მინაწილეობას მიიღებენ: მომდეგალნი ვარდენ ლორთქიფანიძე, ს. კავსაძე, გურული ხორო ჩაკლეულიშვილის ხელძღვანელობით.

თელავი

← **შაქარი.** ქალაქის თვითმართველობამ მიიღო 500 ფუთი შაქარი.

← **სანოვაგის ფასები.** ბაზარზე მაზანდა ასეთია: ძროხის ხორცი—1 მ. 40 კაპ., ძროხის ქონი—2 მ. 50 კაპ., ღორისა—2 მ. 50 კაპ., ერბო და ყველი არ იშოვება, თუ იშოვეთ ერბოს—4 მ., ყველი—3 მ. ხმელი თევზი ლოქო—3 კ., დედალი 5—6 მ., ვარიკა 3—4 მ., კომბოსტო 7—8 მ., ინდოური 12—13 მ. კვერცხი, თუ იშოვეთ, თითო 30 კ., ლიმონი გირვანქა 1 მან., ფორთა 1 მ. და 50 კაპ.

← **საქართველოს ეროვნულ ყრილობის** მოწვევის გამო დიდ სინარულს გამოსთქვამს აქაური ქართველობა და და რადაც სასწაულებრივ ცვლილებებს ელოდა მისგან. ისე ერც ერთხელ არ უკითხნიათ გაზეთები, როგორც დღეს.

† დავით ნიკოლოზის ძე ბაქრაძე

გუშინ დეპეშით გვაცნობეს, რომ რაჭის მაზრაში, სოფელ სვეაში გარდაცვლილა დავით ნიკოლოზის ძე ბაქრაძე. განსვენებული თუმცა ღრმა მოხუცებული იყო (83 წლისა), მაგრამ ჯანმრთელად იყო და უკანასკნელ დროამდე ფიზიკურად უკვირდებოდა ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობას. დავით ბაქრაძე ცნობილი იყო ჩვენში, როგორც ჯანმთლებული მოღვაწე, პატიოსნებით სავსე და გულწრფელი მუშაკი ყოველ ეროვნულ საქმეში.

განსვენებული იყო ღარიბი აზნაურის შვილი; სწავლა მიიღო ჯერ საერულიერო სასწავლებელსა და სემინარიაში, შემდეგ უნივერსიტეტში. 35 წლის განმავლობაში განსვენებული მსახურებდა სასამართლო უწყებაში, ჯერ იყო გამომძიებელად, შემდეგ მომრიგებელ მოსამართლედ, და ბოლოს კი ოლქის სამმართველოს საპალატო მსაჯულად. განსვენებული დიდის ყურადღებით ეკიდებოდა ყოველ ქართულ საქმეს და ხელს უწყობდა მის წარმატებას.

განსვენებულის დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა კეთილი ბუნება, გულწრფელობა, მდაბიო ცხოვრება და მამულის სიყვარული. განსვენებულის მოღვაწეობა განსაკუთრებით გამოიხატა სამეურნეო სასწავლებლის, საადგილ-მამულო ბანკის და საურთიერთო ნდობის საზოგადოების საქმეებში.

რუსეთი ქართულ ეკლესიას შერისხვას უკრავენ

(ნ. დურნოვოს წერილიდან)

„პეტროგრადსკია ვედომოსტ“-ს 12-ა ნომერში დაბეჭდილია ნ. დურნოვოს წერილი. „გაფრთხილება მოსკოვის საეკლესიო სრბილობას შესახებ ქართველების ეკლესიიდან გარისხვისა“ მოგვყავს შემოკლებით.

ამიერ-კავკასიის რუსულ ეკლესიის საქმეთა კომისიამ თითქმის ერთხმად დადგინა ქართულ ეკლესიის შერისხვა, სოლო ქართველი იერარქები დისციპლინა აყრილთა რიცხვს მიაწერა. უნდა კი ადინიშნოს, რომ კომისიის 20 წევრმა ამის გამო კომისია დასტოვეს, ხოლო უფამის ეპისკოპოსი ანდრია და ყარსის დეპუტატი ბერძენი მღვდელი ალექსი უჩკუბეს არ შეუერთდნენ. რას იტყვის საეკლესიო კრება ჩვენ არ ვიცით, მაგრამ გვგონია კი რომ პლატონ ბენეშევიჩის მოქმედებანი კარგს არას მოიტანენ.

ქართველებო, იუბილეთ, თქვენ მტრებს არ ძინავთ. მოსკოვის საეკლესიო კრებას შეუძლიან შერისხოს ქართული ეკლესია, რადგან ვინ უკრძალავს მას ასეთ ღვთის გმობას. რუსულ იერარქიას ეკითხება სტაროობრიადელების მწვალებლობა. ბოლგარული სქიზმა და ახლა ახალი მწვალებლობა განუზრახავს.

მაგრამ მგონი, რომ საეკლესიო კრების ყველა მაგები არ ყურად-იღებენ პლატონის, ბენეშევიჩის, პოპოვის, ეპისკოპოს ნიკანდ ფენომენოვის, მამა რაზუმოვსკის და მათ კომპანიის სიტყვას.

განა დრო არ არის, რომ ქართულ ეკლესიის წარმომადგენლები გამოვიდნენ და რუსულ ეკლესიის საზოგადოების გასაგონად თავის მოთხოვნილებანი განაცხადონ!

1811 წლამდე ქართული ეკლესია სრულ თავისუფლებით სარგებლობდა. მას ავტოკეფალურ უფლებებს რუსული ეკლესია სცნობდა. 1811 წელს, რუსულ ეკლესიამ, იერიის პატრიარქ მეფის შვილ ანტონ II-ის სიცოცხლეშივე, დაუნიშნა თავისი ეგზარხოსი საქართველოს „მცხეთის, ქართლის და კახეთის“ ტიტულით. რუსეთის სინოდის მხრივ ასეთი საქციელი ანტიკანონიური იყო, მაგრამ ქართველი იერარქები უნდა დამორჩილებოდნენ რუს ეგზარხოსს, რომელიც სამოქალაქო მთავრობას ეყრდნობოდა. ამ სამოქალაქო მთავრობამ ქართველ ეპისკოპოსთა უმრავლესობაც ხომ რუსეთში გადაასახლა.

არავის არა აქვს უფლება უარჰყოს, რომ თვითეულ ეკლესიას, როგორც თვითეულ ერს ან-რიც თუ აქვს უფლება, არამედ მოვალეა თავის ეკლესიის უფლებები დაიცვას.

მეორე რას ითხოვენ ქართველები? 1) მათ ეკლესიის ავტოკეფალობას, 2) სხვა ავტოკეფალურ ეკლესიას უფლება არ უნდა ჰქონდეს, ქართულ ეკლესიის საზღვრებში თავისი სამსახვერპლოები აგოს, 3) ყველა ძართლმორწმუნე ერები, რომლებიც ქართულ საეგზარხატოს საზღვრებში ცხოვრობენ, როგორც ქართველებმა, ისე აფხაზებმა, ოსებმა, ბერძნებმა, ბისორებმა, რუსებმა და სხვებმა ქართველი პატრიარქი უნდა იცნონ. ქართველებს ჰსურთ, რომ ძმური, მეგობრული კავშირი იქონიონ რუსულ ეკლესიასთან. საქართველოში მცხოვრებ რუსეთის საუკეთესო შვილებმა ეს იციან.

ქართულ ეკლესიას, მეფე ერეკლესა და ეკატერინე მეორის ხელშეკრულებით და ალექსანდრე პირველის მანიფესტით, აქვს უფლება დაიბრუნოს ყველა ის მამულები, რომელიც მას ეკუთვნოდა, რადგან საქართველო ხელშეკრულებით ავტონომიური სამეფოა და მისი სიმდიდრე და ქონება რუსეთის სახელმწიფოს არ ეკუთვნის. ქართველებს აქვთ უფლება და მოვალენიც არიან მოსთხოვონ 6 მილიონი მანეთი რუსულ ეკლესიას, იმ ფანაძარცვაში, რომელიც უხვად წაიღეს ეპისკოპოსებმა ევსევიმ და პავლემ სიონის და მცხეთის ტაძრიდან და გელათის, ჯუმათის, ზემოქმედის და სხვა მონასტრებიდან. ის უძრავი ქონება, რომელიც ქართულ ეკლესიას გასტაცეს რუსებმა 150 მილიონ მანეთის ღირებულებისაა. მის შემოსავალი 10—13 მილიონამდე უდრის. მთავრობა ამ შემოსავლის 3 პროცენტს მაინც რომ აძლევდეს ქართულ ეკლესიას—მაშინ იგი 4,500 000 მანეთს მიიღებდა, მაგრამ სად არის? მთავრობა ქართულ ეკლესიას სულ რაღაც 500 ათას მანეთს აძლევს.

აღმოსავლეთი და ერთიანი ეროვნული საეკლესიო ბიბლიოთეკა

ბატონი ნიკო ჯანაია თავისს ცნობილ სიტყვაში ბრძანებს: „საქართველოს რუსეთთან შეერთება არ ყოფილა ქრისტიანობის ნაყოფი. ეს ისტორიული აუცილებელი მოვლენა იყო“.

ქრისტიანობისა კი არა, პოლიტიკურ შორსგანუფვრეტელობის ნაყოფი იყო და ამასთან ერც „აუცილებელი მოვლენა“ იყო. აღმოსავლეთი ფოველ ერაკლის, ნუ უძახი რუსებს, მოდი, ჩვენს ყაენს გვირგვინი დადგი, ისევ აღმოსავლეთურად ვიცხოვროთო. პოლიტიკის უქონელი ერაკლი-კი მის ქრისტიანულ ორიენტაციით რუსეთისკენ გადიხარა გადაჭრით. ამის მოჰყვა თბილისის დარბევა 1795 წელს და ზარბაზნებით გარეშემორტყმულ სიონში ქართველების დეფილეა რუსთა იმპერატორის ქვეშევრდომად (1801 წ.)

ეს გამოიწვია ერაკლის შეცდომამ. მისმა ქართველურ რაინდულ სულმა ვერ აუღო ალღო დასავლეთურ ეგოისტურ პოლიტიკას, თუმცა მახლობელნი ეუბნებოდნენ: „იცი, მეფეო, რომე ევერნი იქნებიან რუსთ მეფთ ბედნიერნი? სახელმწიფოა სჯულის ერთობა არარას არგებს, ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს; ვინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს რუსეთის ძალი ქართველს აწინდელი? ვით შეითვისოს რუსმა ქართველი, ვით მეიწყნაროს რუსთ მეფეთამა რაც მოისურვოს ქართველობამა?.. ქართველებს არად მიიჩნით ფბედურება, თუ აქვთ თვისთ ჭერთ ქვეშ თავისუფლება“.

ერაკლიმ დაიჯიწყა თვით მის პაპის ვახტანგ მეექვსის მრჩეველების გონ ვრული აზრიც: „თუ უქკეთ ვართ, ნახავთ, ბოლოს გამოჩნდების.. ტიროდენ, ამას იტყოდენ: „ახლა არს ჩვენი დავსება... მეოთხე (რუსეთი) კიდევ მოიბა, ორი საბელი თავს ეგა. ხაბი ვეშაპი (რუსეთი, სპარსეთი, ოსმალეთი) ერთს ლომსა აწ ვითარ მოეთავ ვბ.!“

ვერც მოეთავსა. თავისუფლება დაჰკარგა, თვით „ლომსაც“ მოუნდომეს კბილებისა და ბასრი ბრეულების მოდენება, ჩაილულის წყალს გააყოლეს მის თავისუფლებასთან ერთად თვით არსებობა მისის სკოლისა, ენისა, საყდრისა, საკმაოდ გაუფლანგეს მიწა-წყალი, გაუნიავეს მოვალი ძალი კულტურული შეძენილობა.

ეს მოხდა, ვისთვორგ, არა „აუცილებელ“ ძალის შედეგად, არამედ აღმოსავლეთურ პოლიტიკის მიერ დასავლეთურ პოლიტიკის მიუხვედრობით. თუ არ ამ მიუხვედრობით გამოწვეული შეცდომა, საქართველოს თავისუფლება 12 წლის შემდეგ, როგორც აღნიშნავენ თვით რუს-მწერლებიც, უსათუოდ უნდა შესულიყო ნაპოლეონის ომებით გამოწვეულ საპოლიტიკო ქაოფარგალში, და მაშინ მისი უმანდელი თვით ერსებობა საეკუნოდ უზრუნველი იქნებოდა. ეი ამიტომაც ჩვენ ვამბობთ, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთება სულაც არ იყოთ „ისტორიული აუცილებელი მოვლენა“, არამედ ნაყოფი იმის ანუ იმათ პოლიტიკურ უსწიფრობისა, რომელთაც იმ სვეუბეტურ დროს ხელში ეჭირათ ჩვენი ქვეყნის ხელმწიფობა.

ხოლო ეს ხელმწიფობა-კი, სამწუხაროდ იყო განუსაზღვრელი და ამიტომ საჭეს მპყრობელის შეცდომამ,— და არა „აუცილებელ ისტორიულ მოვლენამ“,— 116 წლის მონობა არგუნა საქართველოს. მოვუსმინოთ დიდ მგოსახსაც:

„მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას! ერთს კაცს მაჰმადლებ ყოველთა უფლებას და მის ერთს სიტყვას მონებენ ერნი: განურჩევლად სულელნი, ბრძენნი, და იგი მათს ბედს ისე განაგებს, ვითა ამდერდეს იგი კამოელებს! მაგრამ შენ, მეუფევ, ვინ მოგცა ნება, სხვას განებეძა შენთ ყმათ ცხოვრება, მისდევდე შენსა გულისკვეთებას და უთრგუნვიდე თავისუფლებას?! შენ ერმან მოგცა პირველ ღირსება, რათა დაუცვა ყოფა-ცხოვრება, და რად ივიწყებ, რომე ამ. რადის ერსა ეკუთვნის გულისთქმა მეფის?!“

საბედუროდ, ეს „გულისთქმა“ მაშინ მთლათ ეკუთვნოდა მეფეს, გამოწვეული იყო მის გულის შემცდარ აღტყინებით, არ იყო ნაყოფი ერის გონიერების დამჯდარ მსჯელობა-გარწყვეტილებისა, და ამიტომ მის უკეთმართ შედეგის საქმემ რომ მალე თავი იჩინა, ამან გამოიწვია დრტვინვა და ამბოხება კახეთისა, მთიულეთისა, ქართლისა, იმერეთისა, და ხალხს ანდაზასავით მოედო ვინმე მდაბიო ფეიქრის შეტირვაც ამერიდან თავის გაჭეტილ-ბულ მასრა-მაქსიმში.

დასავლეთისკენ მიბედვის წინააღმდეგი არა ვართ, მაგრამ არ ვიჯიწყებთ, **რომ ვართ აღმოსავლეთის შვილები**

და აქ გეგეგანან შეზობლები, აქ ითშენდნენ ფილოსოფიას მაშინ, როდესაც დასავლეთში მას ასამარებდა კლერიკალების მოგონილი ინკვიზიცია, აქ ადმომზეადა გენიოსი რუსთაველი, რომლის ნაწარმოები კინალამ არ დასწვეს იმავე დასავლეთელ ინკვიზიციონერთა, ამ შეცნიერების უვარმყოფელთა სასულიერო მოძმეებმა, აქ, ამ ადმოსავლეთში ადორძინდა მკურნალობა, ბუროთმოძღვრება, ბალდადის უნივერსიტეტში ყოველდღე აქლემებით მოჰქონდათ პლატონის, არისტოტელის და ანტიურ მსოფლიოს სხვა შეცნიერებისა და ბრძენების თხზულებანი, როდესაც მათი კითხვაც კი დასავლეთში გამოიწვევდა ხოლმე დევნას, საპყრობილეს, დაწვას, გართხმას.

ადეს, რეფორმაციის მერმე, დასავლეთი წინ არის, მაგრამ ვაი იმ წინაობას, რომელიც ანგრევს სახელმწიფოებს, ჰბუგავს ქვეყნებს, ანიავებს სუსტთა თავისუფლებას მათ დამბასოფლებთან ერთად! სწორე მოგახსენოთ, ეგოისტურ დასავლეთის „მე“-ს მირჩევნია ჩამორჩენილ ადმოსავლეთის „ჩვენ“. აქ რადაც მშობლიურია, ტკბილი, სადა. აქ ადორძინდა პირველადი ცივილიზაციები, დასამბამი დასავლეთის ცივილიზაციისა, და ეს ადმოსავლეთი კვლავ შეიმოსება გონებრივ შარავანდედით, როდესაც მისი ყველა შვილები ქართველებივით შეიგნებენ ძმობის, ურთიერთობის, შეწყნარებისა და სიყვარულის ძლიერებას. ადმოსავლეთი რომ ადმართობას მოასწავებს და არა დადმართობას, დასავლეთობას, ადმოსავლეთი ხომ ჭეშმარიტი-ორიენტაციაა.

ბ. ჯანაშვილი.

პატარა ფელეტონი

რკინის გზა და... არისტოტელის კატეგორიები

— მეტად გაჭირდა ცხოვრება. ჯერ ომამდეც ყოველთვის მაძღარი არ იყო რკინის გზის მოხელე და ეხლა, როდესაც ერთი ასად გაძვირდა ყველაფერი, სწორედ ქრისტეს ტირილი აქვთ. საქმე ისე გამწვავდა, რომ გაფიცვაც ნუ გაგიკვირდება.

— რაო? გაფიცვაო?! ერთიც ვნახოთ, მართლა გაიფიცნენ და შესწყვიტეს მიმოსვლა! მერმე ჯარი? ადარც სურსათი, ადარც იარაღი! პირს ჩვენკენ იზამენ და ვაი ჩვენი ბრალი! და თუ კი ჩვენ ადარ ვიქნებით, ხომ რევოლიუციაც დაიღუპება.

— მაშ უნდა მიკუმატოთ რამე.

— საიდგან, ამხანაგო? ფულის მბეჭდავი მანქანები ისე დაიმტვრა, რომ...

— უზრუნველ ყოთ სანოვაგით და ტანსაცმელით.

— საიდგან, ამხანაგო?

— მაშ რა ქნან? გაიფიცნენ?

— დმერთმა დაგვიფაროს!

— სხვა გზა რომ არა არის რა?

— არის, ამხანაგო, არის: გზა—დაყოვნება ხანისა. უნდა დავიმედოთ ერითიმეგ; ბევრი ადვუთქვათ და მიცემით კი ბევრი არა მივცეთ რა.

ხალხი ხანშილით და სიცივით იხოცება, ცამდე ადის იმათი ლოდადი და შენ კი...

— ცამდე ადის? მამა ვაცხონე იმათი! იყვირონ, იჩივლონ, ქვეყანა შესძრან! ზოგი ჭირი მარგებელია, ნათქვამია, მაგრამ მოხერხებული კაცისთვის ყველა ჭირი მარგებელია.

— თუ გაიფიცნენ, ჭირს მაშინა ნახავ.

— ვიდრე ისინი გაიფიცებოდნენ, მე ერთი სამად გავხდი ბარგისა და მგზავრების ქირას: რა ექნა, რკინის გზის მოხელეები ჯამაგირის მომატებასა მთხოვენ მეთქი.

— და იმათ კი არას მისცემ.

— იმათაც მივცემ, მაგრამ სახელი უფრო იქნება, ვიდრე სახრავი.

— იმათ კი სწორედ სახრავი უჭირთ. ერთი-ორად მაინც გავუხადოთ.

— ერთი ორადაო?! ასზედ ოცი მიიღონ და ღმერთს მადლობა შესწიროს. ამ ქვესატყეში, იცი, რამდენი მილიონი შდგება?

— რაკი ერთი სამად გავხდი ბარგის ქირას და თვით მგზავრებისასაც ადარ იტყვიან, ფულს ნიჩბითა ხვეტავენ და ჩვენ კი არას გვაძლევენო?

— დავპირდები, ამხანაგო, დავპირდები! იმისთანა თანხებს დავულაგებ, თვალა ვერ მოახერხონ.

— შდაბიურად რომ ვთქვათ, მოატყუებ რადა?

— შენგან არ მიკვირს!

— მაშ?

— ერთ იმისთანა დახლართულ, დაკვანძულ გორგალს გადაგაგორებ, რომ ვერც თავი მოუძებნონ, ვერც ბოლო. მანამ ისინი იმის დარეგვაში იქნებიან, შეიძლება მოგეხედოს ღმერთმა და განსაცდელი აგვაცდინოს.

— რა გორგალს.

— რკინის გზის მოხელეებს კატეგორიებად დავყოფ. თოთხმეტ კატეგორიად!

— ძველი რეჟიმის თოთხმეტი კლასი!

— ვერიდებოდი დოლოსაო, სწორედ მე მომდის! მაგრამ, იცი? ძველი რეჟიმის თოთხმეტ კლასში ყველა ჩინიანი ერიც ირიცხებოდა, მე კი უმფროსებს სულაც არ მოვიხსენიებ.

— რატომ? იმათ კი არ უჭირთ?

— ვისა? იმ-ბობოლებს, იმ იმ ბურჟუებს! იმათ თავიანთი ლიპიც ეყოფათ!

— ძალიან კაგი. ი თოთხმეტი კატეგორია რაღა იქნება?

— სტოროჟიდგან დავიწყობ და საქმის მწარმოებლით გავათავებ. სტოროჟი—პირველ კატეგორიაში რას იღებდა? ათ თუმან ნახეგარს? მივუმატოთ! დეე, ცამეტი თუმანი იყოს!

— თხუთმეტ მანეთს უმატებ ამ სიძვირეში? ასზედ ცამეტი მოდის. ძაან, ძაან, გორგალია, ღვთის წინაშე! აკი ვერც თავს მოუძებნიან და ვერც ბოლოსაო?

— ეგ მარტო სტოროჟებს. დანარჩენების საქმე კი უნდა დაიხლართოს; ისე უნდა დაიხლართოს, რომ თვით სოლომონ ბრძენსაც გაეჭირდეს იმისი შეგნება. სტოროჟების შემდეგ—კანტორჩიკები. იცი, რა? ოთხ კატეგორიაში მოვაქცევ მაგ ვუბატონებს—უმდაბლესი, უნცროსი, საშუალო და უფროსი კანტორჩიკი! წავიდნენ და ეძიონ, რომელია უმდაბლესი და რომელია უფროსი. საქმის მწარმოებლებსაც ოთხს, ან ხუთ კატეგორიაში მოვაქცევ. საქმის მწარმოებელი პირველი ხარისხისა, მეორისა, მესამისა, მეოთხისა, მეხუთისა! იმათი თანაშეწყნიც აგრეთვე. ისე ავრევ ერთმანეთში, რომ ერთი და იგივე მახელე ერთად იმავე დროს მეშვიდე კატეგორიაშიც მოჰყვეს, მერვეშიც და, თუ გინდა, მეათეშიც! წავიდნენ და ირიკაონ! არისტოტელის კატეგორიები გაგიგია, ამხანაგო? არა!? გეტყუბა სემინარიაში არა ყოფილხარ. ამიერიდან უკვდავად ვეშმი ჩემს სახელს და დიდი არისტოტელის კატეგორიებს ჩემსას ვუმატებ.

— თუ კი ვერას გაიგებენ, ხომ უფრო გაიფიცებიან?

— სულაც არა! უთანხმოებას აღვძრავ, შეცილებას, ზურს და გამარჯვებული მე დავრჩები.

— ესე იგი?

— გაფიცვას ავიცდენ და საიმისოს კი არას გავიღებ.

ი. მ—ალი.

ერთი თვე მესხეთში

(გაგრძელება)

შაბათ-კვირა დღეს დიდი-პატარა საყდარში მიეშურება. გულმოდგინებით ესმენს მოძღვრის ყოველ სიტყვას და სასოებით პირჯვარს ისახავს. დიაკვნის გვერდით დგას რამდენიმე მოხუცი და ახალგაზდა, ხმაშეწყობილად, ტკბილ ქართულ კილოზე გალობენ საგალობელთ და სმენას ატკბობენ. არავითარი ისეთი რამ, ვით ზოგს საქართველოს ნაწილში... აღბად წინა დაც ასე იყო, ასეთი ლოცვა ვადრება შრომისა და ჯაფის შემდეგ, და რა სასიამოვნო და სულის განმანათლებელი იყო ეს ლოცვა... არ ისმის ჩურჩული, არც ლაპარაკი ლოცვა სახარების კითხვის დროს. ყოველ სიტყვას ისმენენ და შემდეგ ზეპირად იმეორებენ მოძღვრის ბოძნულ სიტყვებს. ცხოვრებაში გადაიქცევ და მით ამშვენებენ ტკბილ ქართულს. მორჩილება უფროსისა და პატივცემულ პირისა ყოველთაგან მიღებულია, ყოველთავის საყვალდებულოა ვინც გინდა იყვეს იგი. დიდი ოჯახობითი ცხოვრობენ—30, 35 სული ოჯახში ხშირია ამ მხარეში. დაშორება და გაყრა სირცხვილი და დასაგმობია, დამცინავი, თავის მომპრელი. ოჯახის მამა პატივცემული და საყვარელია ყველა წევრისაგან, მას არ საქმენენ. ოდაში ვზივარ, სტუმრად ვეწვიე შეძლებულ ტოფოს. ქარაველ ქრისტიანებით დასახლებულ მესხეთის უკანასკნელ სოფელში. ხანში შესული ტოფო ხის ოდაში, გრძელ ტახტის თავზე ბალიშზე და იქიდან სცემს ბრძანებას. სალამო იყო, გიორგობისთვის ცივი საღამო, ვარსკვლავნი ცაზე ციალებდნენ სიცივისაგან აკანკალებულნი ოდეს მასპინძელს შევეძახე ოდეს მიმასწავლეს. კარი გამიღეს. უკითხავად შემიყვანეს სახლში, მგზავრი ვიყავ, სტუმარი ღვთისაა, მობრძანდით... შესმა ძველ ჩვეულებისამებრ სიტყვები და გავეყვ ჯარის გამოდგებს. გამიძღვა ოდისაკენ. ხალხით სავსე იყო, ტახტზე ორპირათ ჩამწკრივებული, ფეხშიშველანი, სუფთა წინდებით, მოკეცილნი, ბეჭობენ, საუბრობდნენ... ეტყობოდათ დღეგრძელ საერთო მდგომარეობაზე, საქართველოსა და რუსეთის ბედზე, ხალხის გაჭირვებაზე და უპატრონობაზე. მიეგებალმენ, დაგიდოცვ მათ წესით და ადათით. გზა მიტოვეს და ტახტის თავზე მომცეს ბინა, როგორც სტუმარს, თორემ იქ მოხუცთა ადგილია... გამომკითხეს. უპასუხე. შემდეგ განაგრძეს თვისი შეწყვეტილი ლაპარაკი. „ეს ჩვენი ჩვეულებაა. ერთი ვისმე ოდა გვაქვს ამოჩემებული და იქ ვიკრიბებით, ვლაპარაკობთ, ვსაუბლობთ, ჩვენი ქალალდიც ეს არი და წიგნიც“. დაუმატა ბოლოს ლიმილით თეთრ-წვერა იობამ და ჩაერია ლაპარაკში...

„ეგრე კი არა ბაქარ ბიძა, საქმე იმაშია, რომ ჩვენ პატრონი არავინა გვყავს, ცხვარი რომ უპატრონოდ გაუშვა, კლდეზე გადიჩეხება. ქარაველი მეფენი, რომ ვეღარ გაუძღვნენ საქართველოს, რუსებს გადასცეს, პატრონი უშოვეს, ჩვენ რომ ჭკვიანი და ნასწავლი ხალხი ყოფილიყო, ასეთ კარად მოსიარულად ადარ გაგვხდიდა... ეხლაც პატრონი ვინა გვყავს, ხელწიფე არა ზის და არაფერი. ცეცხლი ამიტომ ეკიდება ყველაფერს, ამიტომაა არეული ქვეყანა“. ყველა ყურადღებით უსმენდა იობა ბიძას და გულმოდგინებით ამოლებდნენ ოუოუნს... „მართალია, იობა ბიძა, ჩვენ რო გვანათლებული ხალხი და წინამძღვარი გვყოლოდა, არავინ მიგვცემდა სხვის ხელში, მაგრამ ეხლა ერთად ვერ მოთავსებულან, ყველა თავისას გაიძახის და იმიტომ უფრო ავირ-დავირეთ... ეხედავ, ე თეთრებიც ჩვენთან ადარ დგებიან, გაიძახიან, ჩვენი ნაფეფ უნდა დავსვათ, თქვენთან ალარაფერი გვინდაო, შორს გვიპერენ, წინად ოდა სავსე იყო ხოლმე იმათგან, აი ეხლა ერთი მოლა და ახლო მეზობლები შემოგვსწრებიან, მართალია თუ არა, მოლა“?.. შეეკითხა ოთხთულად მოლას ბიქარ-ბიძა, რომელმაც თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ხმა არ ამოო ღო. ხალხს ეესაუბრე, წაუკითხე, ალენიშნე მუსულმანთა ქართველობაც და ამ უკანასკნელს ხაზი გაუსვი, მაგალითები მოუყვანე. მაგრამ დაჯდინეს ბაქარ ბიძას პირით: „ჩვენც ხანდახან ვეუბნებით მაგრამ ჰეჩ*) ჩვენი არა სჯერათრა. მაშინვე ახალცოხეს გარბიან, რასაც ბეგები ჩასმენენ და ეტყვიან, იქითკენ გაიწვევენ, მელას რა უყვარდა და მახეო, მაგათხეა სწორედ ნათქვამი“. დაჯდინა ბაქარ ბიძამ და თავი სინანულის ნიშნად თავი გაიქნევ-გამოიქნია.

დიდხანს ვისაუბრეთ და ბევრი, ძალიან ბევრი საგულისხმიერო მასმენს. ისეთი რამ, რომელსაც ყოველმა ქართველმა აუცილებლივ ყურადღება უნდა მიაქციოს თორემ შემდეგში იქნებ ძალიან და ძალიან გვიან იყოს და დაღუპული საქმე ვადარ გამოვაბრუნოთ. „ჩვენ ხომ ხედავ საქართველოს მეორე ნაბრას ვცხოვრობთ,—მეუბნეგა ერთი,—ჩვენს გარშემო და შემდეგ სულითთრები არიან (ქართველ მუსულმანებს გულისხმობს), მოსგვნება არა გვაქვს, ქურდობა და ცარცვა-გლეჯა სულ მაგათ ხელიდან გამოვა თავოს ვერაფერს აარიდებ, რომ არ დაგვეკარგოს. არ იცი, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ. აი ამ ზაფხულსაც მამაპაპეული ადგილ-მამული, დანიეთი და ლომელია წაგვართვეს. ახალქალაქის მაზრის ქურთებმა. თოფი და ტყვია სეტყვასავით დაგვაყარეს. ვერაფერი დაუგვარეთ. ჩვენც იარაღით გავედით და იმათ მაინც თავისი გაიტანეს. ეხლა ერთი განათლებული, გაბული, ნაწყენი კაცი არავინა გვყავს, რომ მიდგეს-მოდგეს და საქმე გავაკეთოთ. ჩვენია, მამაპაპეული, სიგელ-გუჯარით დამტკიცებული. წერა-კითხვის მცოდნე ერთი-ორი თუ მოგვეპოვება. რამდენი ვთხოვეთ სკოლა გაეხსნათ, ჩვენ ვაშენებდით, შესაწირავს ვპირდებოდით და დღესაც აი ასე უპატრონოთა ვართ. სკოლა რო იყვეს ე თათრებიც შეიგნებდნენ რამეს და ღმერთსაც მოგწონებოდა კაცსაც.— დაამთავრა ტოფო ბიძამ და თვალებში შემომხედა ხომ არას ვეტყოდი, მე ბოლოდ ჩამაფიქრა მისმა ჩივილმა და ნაღვლმა. თვალწინ წამომიდგა ერთი წლის განმავლობაში თუ რა დიდი ჯაფაი შრომა იყო საქართველოს თავისუფალ საქართველოში, რათა ყოველივე რიგზე მოწყობილიყო, ყოველივე მოთხოვნილება ხალხისა დაკმაყოფილებულიყო, შეკვეთ და გამოგვესყიდა წინაპრთა შეცდომანი და დანაშაულნი. დაგვბრუნებინა დედის, მშობელ დედას მკერდთან ბოროტთა ხელით გულიდან მოგლეჯილი ძმანი, რომელთაც არც ეხლა ასვენებენ და მშობლისკენ გამოწვდილ ხელებს ხელოვნურათ ჰფარავენ, ხელოვნურათ ძირსვე აწევინებენ. დიდ ტრაღედიას განიცდის ერი ჩვენი და ეს ტრაღედია მშვიდობით უნდა დაამოლოვოს შეგნებულ ქართველის შრომამ და გამჭრიახობამ. აქ უნდა გამოიჩინოს ერვნული სულის სიძლიერე და შემოქმედებითი ნიჭი... რამდენი მრავალი წლის კულტურაა საჭირო, დაუღალავი მუშაობა, რომ ამ მხრის ორმა ძმამ ერთურთი იცნოს და ხელი-ხელ გადახვიოს. ერთათ ეგვებოდეს ჭირსაც და ლხინსაც... გადასცურა ყოველივე ამან და ნელის ხმით გავიმეორე ტოფო ბიძას ნაღვლით წარმოთქმული სიტყვები. მართლაც და ღმერთსაც ესიამოვნებოდა და ჭცსაც, რომ ორ ძმას ურთიერთი ეპოვათ, ეცნოთ...

დამე გადასულიყო „პური მოტათ.“ —გასცა ბრძანება ოჯახის უფროსმა და მეზობლობა წამს წამოიშალა, ყველა თავთავი მხარეს წასასვლელად. ღამე მშვიდობა გვისურვეს. ვახშმად არ დაიწვა. ეტყობათ ჩვეულება ასეთი ყოფილა თორემ ამოჩემებული ოჯახი, ხომ ვერ გაუძღებოდა ამოდენა სტუმრობას. ვახშმამდე საუბრობენ. გულს იოხებენ ლაპარაკითა და ბეჭობით გრძელი ზამთრის დამენი აქეთ ასე მიდის, დროს ატარებენ. ერთმანეთის აზრს იზიარებენ. რა კარგი და რა ლამაზი ჩვეულებაა! რა დარმაისული და დინჯი. ალბად ძველ საქართველოში ასეთი ჩვეულება იყო, ასეთი ადათი. ეხლა ეს ამ კუთხეში და შენახულა ამ სიწმინდით და თავაზებურობით. აი ძველი საქართველო. ომი გადახდილია. საბშობლოს წინაშე ყველას ვალი მოუხდია. სინდისი განწმენდილია, გულს ბოლმა არ აწევს. მართალნი არიან ქვეყნისა და ხალხის წინაშე. იკრიბებიან ოდებში და უამბობენ ერთმანეთს დაღუპულ ვაჟკაცთა სიგმირეს და დმერთს მათ სულის განათლებას შეჰვედრიან. ახალგაზრდათ კი აცნობენ ომის თავ-გადასავლს და იქაურ ყოფა ქცევას. როგორ უნდა მოიქცეს თუ შეჰვდება ოდესმე სამშობლოსათვის ბრძოლა და მისთვის თავის დადება. მოხუცი ჭარმაგი, თმა შეჭაღრეგული, მრავალ ომ გადახდილი, ჭრილობა ნახული, იშვიათად ერევა ლაპარაკში. თუ რამ არ დაუჯდა ჭკუაში მხოლოდ შეასწორებს და კვლ ე დადუმდება. ეხლაც ხომ ასეთი საღამონი არიან. მხოლოდ სხვაზე ბეჭობენ... ეხლა სამშობლო საქართველოს მცნება ოდნავ შეცვლილა, გაფერმკრთალებულა. საკუთრივ მისთვის ხელის აღება და მისი დაცვა აშინებს. ეშვს უდვიებს გულში. ვაი თუ ვერას გავხდეთ, მტრისაგან დავიჯაბნებითო, მტერი ბევრი ჰყავს ჩვენ საქართველოსა. რა ჰკნას, რა ეთქმის, ას წელზე მეტია, რაც საქართველოსთვის ხმალი ხელში არ აუღია, მისთვის არ ფბრძოლია, ერთგვარად გადაჩვეს. თუმც ხანდისხან, სიმღერის დროს ნელის ხმით დაღღინებს ხოლმე.

ფმინდა გიორგი გაუწყრეს
ვინც რომ ქართლი რუსეთს მისცა.

მის გულის სიღრმიდგანაა ამოხეთქილი ეს წყეული კრულვა მათ მიმართ, ვისიც წყალობითაც ერის მონობის უღელი მას კისერზე დაადგა. ეს არის მისი მართალი და ჭეშმარიტება... ეშვი და შიში კი გარს გადაკრული თხელი ლეჩაკი, რომელსაც მალე დასწვავს და ნაცრად აქცევს ხელმეორედ აღგზნებული ძლიერი ეროვნული ცეცხლი, რომელიც ადმოხეთქას ლამობს, რომელსაც მიესწყინდა საუკუნით უმოქმედობა და ხომ ცნობილია, რომ ქართველს ბუნება დიდი ხნით ვერ იტანს უმოქმედობას. მან თავი უნდა ჩაინოს და აი დადგა დრო სანატრელი ოდესაც ამან ხორცი უნდა შეისხას...

...ფეშხუში დასდგეს... ოჯახის უნცროსმა ქალმა შემოიტანა წყალი და თასი, მხარზე სუფთა ტილო აქვს გადაკიდული. ჰურის ჭამის წინ ხელები უნდა დაბანინოს. ასეთი ჩვეულება აქვთ. ამ ადათს ყოველ სახლში სასტიკად იცავს ყოველი ოჯახი. სისუფთავე და ჰიგიენა ამ მიყრუებულ მხარეში. ამას ხომ ჩვენს ინტელიგენტთა ოჯახებშიც კი ვერა ჰპოვებთ. რა ლამაზათ შემოდის ტურფა ოჯახის ასული. შუა ოდაში შესდგება. ხელს გულზე მიიდებს და ოდნავათ თავის ქნევით, თავ დახრილი გესალმება. რა სიტურფეა ამ მორცხვ მოძრაობაში, რა აუწყრელი ილამაზეს და სიკეკუცე. ქალწულობა და წმინდა შეუღალავი სული მოსჩანს, სული შეუდრეკელი და მშვენიერი ძველ ქართველ დედისა.

სალამის შემდეგ თავ დახრილი და მორცხვ სიწითლე გადაკრული ფიდის სტუმართან და ხელს აბაინებს. შემდეგ ოჯახის უფროსთან და ასე... ამის შემდეგ ტაბლებით მოაქვთ საჭელსასმელი. ილოცება ოჯახის უფროსი და პური მხოლოდ მაშინ იტეხება.

(დასასრული იქნება)

ნ. კვლეხოველი.

კორესპონდენცია

გარედ-კახეთიდან

1. შამშილი

მოძრაობის შემდეგ გარედ-კახეთს შიმშილი არ ასცდენია და ახლა ხომ სრულიად მსხვერპლია მისი.

კოდი 15 თუმნამდე ავიდა და არც აჩენენ. სოფლის ქეთხუდებმა გაავსეს ორმოები პურით და ჰმალავენ.

ამას წინედ ს. ახალსოფლიდან ერთი უმწეო გლეხი მიერეკებოდა პატარძეულში საქონელს. ცრემლებით შემოაჩივლა:

— დვიეების (მარტყოფის სალოცავი) მადლმა ეს არის ჩემი მარჩენალი. ცოლშვილი სიმშილით მეხოცება და ახლა ერთი ნაცნობი დამპირდა პატარძეულში პურს, თუ ამ ხარებს მიუყვანდ. ჯანდაბას, მშიერი ხომ არ მოვკვდები.

არავითარი კავშირი, არც ლონისძიება სიმშილის ასაცდენად არ არსებობს გარედ-კახეთში. მე თვითონ ვნახე ჩემი ნათლიმამის ოჯახში სიმშილისაგან გუჯწასული ბავშვები.

თიბათვემდე ძნელია გაძღება ამ ქარცეცხლში. და მე ვიცი ბევრი ოჯახი ატირდება და დასწყევლის გაჩენის დღეს.

კოოპერატივებმა (რომელთა რიცხვი საკმაოა გარედ-კახეთში) მაინც იღონონ რამე...

2. არჩევნები

— მე მაგათი არა მწამს რა, ქოსატყუილებივით დარბიან და გველაქუცებიან...

ამბობს მეზობელი გლეხი.

— ყველა სიკეთეს გვპირდება, ყველა გვიამდებს... ყველას ვსჭირდებით...

— ჰაი, ჰაი, რო ვსჭირდებით, თორე ვის რაში ეუნდოდით? სად იყვნენ აქამდე?..

არჩევნების დღეს ერთი გლეხი ასე მსჯელობდა:

— ხომ არც ერთს არ ვიცნობთ. მოდი და პირველ ნომერს მივსცეთ, პირველი ლუკმა მაინც გემრიელია. ჯანაბას, რაც იქნება იქნება...

და ყველა ასე ღალადგდა:—„პირველ ნომერი... მუშათა პარტია!..

— რომელში ჩაგდეთ?

— რა ვიცი, რაც მოგვცეს ხელში ის ჩაუძახეთ ყუთში...

ერთი ფედერალისტების მიერ გამოგზავნილი ქართველ გიმნაზიის მოწაფე, კინ ღამ შუაზე არ ეგალიჯეს...

— ეგ ფუულებით ჭყიდულობს ხმას... მოდით და დაარწმუნეთ..

და კ დევ ერთი საცინელი ამბავი:

— თათრებმა საქონელი დასტაცეს ქალურ გლეხებს და ერთი გლეხი, რომელ ც მოერეკებოდა უკან ამბობდა:

— ერთი ეგ თებერვალები ვნახო ჩვენ სოფელში და დედას ვუტირებთ..

— რა ამბავია?

— ვითომ არ იცი და... შენც თებერვალი იქნები, თქვენ არ დაბაპარინეთ ჩვენი საქონელი თათრებს, თქვენ არ გამოგიზავნეთ ისინი?..

— მოდით და კვლავ დაარწმუნეთ...

და მე ვგრძნობდი რომ, ბაზად იყო ერთი ორ ჯერ გადმოეკრა ჩემთვის ფინის სახრე, რომელსაც ხელში შეურიეთ ატრიალებდა...

არავითარი შესწენა... არავითარი ცნობა...

და ყველა... და ყველგან კი: ვენახში, სახლში, წყაროზე სულ პარტიებზე კი ლაპარაკობენ.

— უი, ქალო, ერეგნელ-დემოკრატები სჯობნებიან...

— რას ამბობ ქალო, ერეგნელებთან რომ არ წავიდეთ, ისევ ჩვენები არ გვირჩევნიან...

ერთს კვირა დღეს ზარის რეკით შეეყარე ხალხი. მე ვაცნობდი ეროვნულ-დემოკრატების პროგრამას...

ვინმე ჯარისკაცმა სოც.-დემოკრატმა მთხოვა, რომ მასაც ელაპარაკნა.

პირველად მე დავიწყე. აუხსენი ყველაფერი... დასასრულს, როდ სიხარულით ლაპარაკს ვეღარ მაცლიდნენ—შეგეკითხე—

— ხომ მოგწონთ ჩვენი სწავლა?

— ჰ, იყოს ალბ! ჰაი, ჰაი, რომ კარგია...

და როდა ჯარისკაცმა (რომელიც ეფედერალისტების ხმარობდა სიტყვებს: „ბიფროკრატია“, „კონსტიტუციონ“, „აბერეგეტია“ „ანდარმერია“ და ს. ხ.) გაათავა.

მე მიუბრუნდი და ალბ შეგეკითხე გლეხობას.

— ხომ მოგწონთ!

— მოგწონს! ბო, გიშველთ ღმერთმა! ორივე კარგად ლაპარაკობთ.

და ორივე გვასიამოვნეს...

და საბჭოდ გავშორდნენ ღამის ფუნქნებში, რომელთა რიცხვი მეტად მრავალია...

— ალბად ჩვენი საფიქრალი გადაკრეს...

ბ. ტ ბ.

მარტიდან სტუბაგენ და სტუბაგენ ტყვეებს...

ანადგურებენ ულრან ტყეს..

პატრონი არავინ არი...

მე დავეწერეთ, როცა სოფელს კომისარი, გალანძღეს მისთვის, რომ ის უშლიდა ტყეების გაკაფვას.

— ძლივს გადარჩა „ლენინობა“ და შენ გინდა ახლა მეორე „ლენინად“ წამოგვაგდებ? კომისარი გაშრა სიბრაზით და თვითონ კი ცულებით ხელში გავშარანენ ტყისაკენ...

— ზოგი ახლა იარონ დათვებმა ამბობს ერთი სიცილით! — კაეფის დროს...

— ბიჭო, და რათ, თქვე ულმერთოებო!

ამბობს შესმენილი გლეხი...

— სოლომონ ბრძენის! სოლომონ ბრძენი გამოვიდა!..

და სჩრიან ტოტს, რომელზედაც თვითონვე სხდან...

ილუპება შეგენიერი ტყეები—

სად არის პატრონი?...

გურამ ბიგრიანი.

რედაქტორი ბრძანდება ბ. ბეშაკიძე.

კალენდარი

შაბათი, ქრისტეშობისთვის 2

მე-12 დღე ქრ. შობის მარხვისა.

ქართ. წმ. წინასწარ. ამბაკუმისა, წმ. შორის შაბისა ჩვენისა ეხე წიდულად ვეპიკოპ. ათ-თორმეტთაგანისა. წმ. სოლომონისა. წმ. პეტრე მაუსელისა († 512 წ.)

კათოლ. წმ. ბაბიანისა.

ბერძულ. წმ. ბაბიანისა. შუალად ლეგა წმ. ქალწულ მარიამისა ანნას შიგნ.

მაჰმად. შაბმ 29 რ. რეგბულაბულ 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაულ. შაბათ 1 რ. ტებეთი 5678 წ. ებრაულ. შეგ.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

ბაბაევსკაიას ეტაპიდან

(დრო ნახსენები თბილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ. № 5,	11,32 დილ.
	სამგზ. № 9,	11.28 დილ.
ხაშურ-ბორჯომის.	№ 19,	3.17 დღ.
„ „	№ 17,	3.19 დილ.
ბაქოსკენ	ჩქარ. № 6,	9.51 დილ.
„	საფ. № 4,	3.46 საღ.
საქართველოს	სამგზ. № 4.3,	12.15 საღ.
„	№ 61.	3,18 დილით (ზოლოდ ქვირა-უქმით ქსანკამდე).
„	№ 63.4,	48 ნაშუადღევზე მცხეთამდე.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ. № 10,	3.33 დილ.
„	საფ. № 6,	7,41 საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ. № 20,	7.57 დილ.
„	სამგზ. № 18,	9.50 საღ.
ბაქოდან	საფ. № 3,	10 26 დილ.
„	ჩქარ. № 5,	10 20 საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ. № 3***,	7. 53 დილ.

კახეთის რკინის გზა

თბილისიდან გადის:

სამგზ. № 4, 3.53 დილ.

თბილისში მოდის:

საღამოთი 6.24 წუთ.